



სსიპ - ქალაქ თბილისის N127 საჯარო სკოლა  
სილაბუსი

საგნის სახელწოდება	მეწარმეობის საფუძვლები <b>Entrepreneurship Fundamentals</b>
ავტორი	აკაკი შეყელაძე
პედაგოგი	აკაკი შეყელაძე ashekeladze@gmail.com
სწავლების კლასი	X
სასწავლო კურსის სტატუსი	არჩევითი საგანი
სწავლების ხანგრძლივობა, მეცადინეობების რაოდენობა კვირაში	სასწავლო კურსი ისწავლება კვირაში 2 საათიანი დატვირთვით ერთი აკადემიური წლის განმავლობაში (1-ლი და მე-2 სემესტრი)
სასწავლო საგნის ზოგადი აღწერა	არის არჩევითი საგანი, ხელს უწყობს მოსწავლის კონკურენტუნარიან, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ და პროფესიონალ პიროვნებად ჩამოყალიბებას. საგანი ეხმარება მოსწავლეს საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სარგებლის მნიშვნელობისა და მასში საკუთარი როლის გაცნობიერებაში. სასწავლო საგნის სტრუქტურა და თემატიკა სრულად შეესაბამება მსოფლიოს წამყვანი საშუალო სასწავლებლების და უმაღლესი ბიზნეს-სკოლების (ჰარვარდის, კალიფორნიის, კოლუმბიის, ჩიკაგოს-აშშ, კემბრიჯის, ოქსფორდის-დიდი ბრიტანეთი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა) ანალოგებს.
დაშვების წინაპირობები	საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი პროგრამების დაძლევა
სასწავლო საგნის მიზნები	სწავლების მიზანია: <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეს მიეცეს თანამედროვე, სისტემური ცოდნა და გამოუმუშავდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ორგანიზება - მართვის (ადმინისტრირების) შესახებ;</li> <li>• მოსწავლეებში სამეწარმეო აზროვნების განვითარება;</li> <li>• მეწარმეობის მნიშვნელობის გაცნობა;</li> <li>• მოსწავლეებში საქმის წარმოების უნარის განვითარება;</li> <li>• მოსწავლეს ცოდნა შესძინოს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განვითარების ისტორიულ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ საფუძვლებში;</li> <li>• მოსწავლე დაეუფლოს ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერებების საფუძვლებს;</li> <li>• დაეხმაროს მოსწავლეს სოციალური, მორალური, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერებასა</li> </ul>



	<p>და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის კომპეტენციების განვითარებაში;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაეხმაროს მოსწავლეს თანამშრომლობის კულტურის განვითარებაში;</li> <li>• მოსწავლეს შესძინოს ცოდნა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ინტერესთა კონფლიქტებისა და მათი მოგვარების მექანიზმების საფუძვლებში.</li> </ul>
<p>სწავლების მიმართულებები</p>	<p>პიროვნული განვითარება მდგრადი განვითარება თვითმმართველობა და მმართველობა</p>
<p>სასწავლო საგნის მისაღწევი შედეგები და კომპეტენციები</p>	<p><b>1. ცოდნა და გაცნობიერება</b> საგნის გავლის შემდეგ სტუდენტებმა უნდა იცოდნენ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგადად, ბიზნესის მართვის ეფექტიანი ორგანიზების საფუძვლები;</li> <li>• საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები;</li> <li>• საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება;</li> <li>• ფინანსური რესურსების შიდა და გარე წყაროები (კრედიტი, ინვესტიციები, გრანტი და სხვა), მათი მოზიდვისა და ეფექტიანი გამოყენების ხერხები;</li> <li>• პირველადი და მეორადი მარკეტინგული ინფორმაციის თავმოყრა, დაჯგუფება, ანალიზი, ბაზრის კვლევა, მარკეტინგული კომპოლექსის ღონისძიებების განხორციელება;</li> <li>• ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის თავმოყრა, ანალიზი, ანგარიშების მომზადება და წარდგენა;</li> <li>• საბუღალტრო, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშის და სხვა წაკითხვა ანალიზი;</li> <li>• სამეწარმეო რისკების განჭვრეტა, შეფასება და მათი რაციონალური მართვით დანაკარგების მინიმიზება;</li> <li>• საგადასახადო სისტემის პრინციპები და გადასახადების სახეები;</li> <li>• სახელმწიფოს როლი ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ბიზნესის რეგულირებაში.</li> </ul> <p><b>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება</b> საგნის გავლის შემდეგ მოსწავლეებს შეეძლებათ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიზნესის ხარჯების ნუსხის შედგენა და მისი შემცირების გზების განსაზღვრა, მათი უზრუნველყოფის ფინანსური წყაროების მოძიება და ეფექტიანი გამოყენება;</li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"> <li>• საალბათო სამეწარმეო რისკების განჭვრეტა, შეფასება, მათი რაციონალური მართვითა და დაზღვევით დანაკარგების მინიმიზება;</li> <li>• ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების ანალიზი-შეფასება, სწორი წარმოება და დაბეგვრის საკითხების გადაწყვეტა;</li> <li>• საგადასახადო, საბანკო და სადაზღვევო სამსახურებთან ურთიერთობა;</li> <li>• მეწარმეობაში მიღებული ცოდნის კონკრეტულ სამეურნეო და ყოფით სიტუაციაში პრაგმატული გამოყენება და პირადი კონკურენტუნარიანობის ამაღლება;</li> <li>• ინფორმაციის პოზიტიური და ნორმატიული, ასევე, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი.</li> </ul> <p><b>3.სხვადასხვა უნარები:</b></p> <p>ა) კომუნიკაციის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პარტნიორებთან ეთიკური კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარი;</li> <li>• იდეებისა და ინფორმაციის ლოგიკური თანმიმდევრობით გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის;</li> <li>• თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.</li> </ul> <p>ბ) სწავლის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიზნესის საკითხებზე ესეების, რეფერატების, საპრეზენტაციო ნამუშევრების და სხვა სახის პროექტების დამოუკიდებლად და ჯგუფურად შესრულების უნარი.</li> </ul> <p><b>4.ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპეტენციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეს შეუძლია შეზღუდულობის დაძლევის გზაზე რაციონალური არჩევანის მნიშვნელობის ანალიზი;</li> <li>• მოსწავლეს შეუძლია შრომის როლისა და მნიშვნელობის ანალიზი ინდივიდის, ოჯახის, ქვეყნის და მსოფლიოს მასშტაბით;</li> <li>• მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს საკუთრების, როგორც ადამიანის საქმიანობის მძლავრ სტიმულის მნიშვნელობა;</li> <li>• მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ბაზრების ურთიერთკავშირისა და მოთხოვნა- მიწოდების წონასწორობის პირობების ანალიზი;</li> <li>• მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს მეწარმეობის მნიშვნელობა საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის;</li> </ul>
--	--



	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს ვაჭრობის მნიშვნელობა ეკონომიკური კეთილდღეობისათვის;</li> <li>• მოსწავლეს შეუძლია ახსნას კონკურენციის წარმოშობის მიზეზები, მისი ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორები.</li> </ul>																																																							
სასწავლო კურსის შინაარსი	დანართი 1-ის შესაბამისად																																																							
სწავლების/სწავლის მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერაქციული ლექცია</li> <li>• ლექცია</li> <li>• პრაქტიკული სამუშაო</li> <li>• დისკუსია</li> <li>• სწავლა კეთებით</li> <li>• წყვილებში მუშაობა</li> <li>• ჯგუფებში მუშაობა</li> </ul>																																																							
შეფასების კრიტერიუმები	<p>1. მრავალკომპონენტური შეფასება: შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: აქტიურობა/აქტივობა, გუნდური მუშაობა, ლოგიკური აზროვნება და ცნებებისა და მასალების ცოდნა, თითოეულ კომპონენტი ფასდება 10 ქულიანი შკალით, საჯარო სკოლაში არსებული შკალის მიხედვით, და თითოეულ მათგანს აქვს ¼ წილი.</p> <table border="1" data-bbox="655 1010 1385 1361"> <thead> <tr> <th></th> <th colspan="10">ქულები</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>აქტივობა</td> <td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td><td>7</td><td>8</td><td>9</td><td>10</td> </tr> <tr> <td>გუნდური მუშაობა</td> <td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td><td>7</td><td>8</td><td>9</td><td>10</td> </tr> <tr> <td>შესრულებული საშინაო დავალება</td> <td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td><td>7</td><td>8</td><td>9</td><td>10</td> </tr> <tr> <td>ცნებებისა და მასალების ცოდნა</td> <td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td><td>7</td><td>8</td><td>9</td><td>10</td> </tr> </tbody> </table> <p>2. საშინაო დავალება - ესე თემატიკის მიხედვით. ნაშრომი შეფასეთ 10 ქულიანი სისტემით;</p> <p>3. საშინაო დავალება - პრეზენტაციის მომზადება კლასში განსახილველი ან/და განხილული თემის გარშემო, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, რომელიც საპრეზენტაციო ფაილის დახმარებით წარდგება აუდიტორიის წინაშე, მოსწავლეები შეფასეთ 10 ქულიანი სისტემით ინდივიდუალურად;</p> <p>4. შემაჯამებელი სამუშაო - სემესტრში ერთხელ - ტესტირება;</p> <p>5. მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთერთშეფასება.</p>		ქულები										აქტივობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	გუნდური მუშაობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	შესრულებული საშინაო დავალება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	ცნებებისა და მასალების ცოდნა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	ქულები																																																							
აქტივობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10																																														
გუნდური მუშაობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10																																														
შესრულებული საშინაო დავალება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10																																														
ცნებებისა და მასალების ცოდნა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10																																														
ძირითადი ლიტერატურა	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015</p> <p>2. ჯუნიორ აჩივმენტ საქართველო - მეწარმეობის საფუძვლები, საპილოტე ვერსია</p>																																																							



	3. გულნაზ ერქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები
დამხმარე ლიტერატურა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. თეიმურაზ შენგელია - ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი, 2012</li> <li>2. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ</li> <li>3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი</li> <li>4. გრეგორი მექნიუ - ეკონომიკის პრინციპები</li> </ol>
დამატებითი ინფორმაცია / პირობები	<p>მოსწავლეებმა უნდა დაიცვან ეთიკის ნორმები როგორც თანაკლასელებთან, ისე პედაგოგთან დამოკიდებულებაში, საკლასო მეცადინეობები ჩათვალონ როგორც საქმიანი შეხვედრები, გაკვეთილებზე მივიდნენ დაუგვიანებლად. მეცადინეობებზე რეგულარული დასწრების გარეშე საეჭვოა, რომ მასალა მათ წარმატებით დაძლიონ. ყველა მოსწავლე ვალდებულია დაიცვას აკადემიური პატიოსნება, დაუშვებელია თანაკლასელების მიმართ უპატივცემულობა და პლაგიატიზმი.</p>



#	თემა	ლიტერატურა
1	<p>მეწარმეობის არსი, ფორმები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მეწარმეობის არსი, პრინციპები</li> <li>• სამეწარმეო საქმიანობის სფეროები და სახეები</li> <li>• ბიზნესის როლი ეკონომიკაში</li> <li>• ბიზნეს-იდეა და მისი შერჩევის მეთოდოლოგია</li> <li>• SWOT ანალიზი</li> </ul> <p>პრაქტიკული სამუშაო: მეწარმეობის უნარის შეფასების ტესტი 3 – 18-19; 2 – 1-4</p> <p>პრაქტიკული სამუშაო: ბიზნეს-იდეის შერჩევა, გადაწყვეტილების მიღების საფეხურები 2 – 6-8, 2 – 56-57</p> <p>პრაქტიკული სამუშაო: სამიზნე აუდიტორიის დადგენა 2 - 58</p>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 10-43</p> <p>2. ჯუნიორ აჩივმენტ საქართველო - მეწარმეობის საფუძვლები, საპილოტე ვერსია გვ. 1-4, 6-8, 56-58</p> <p>3. გულნაზ ერქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები გვ. 18-19</p> <p>დანართი: 4-8, 4-9, 4-10</p>
2	<p>ბაზარი, სამეწარმეო გარემო</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბაზრის არსი და თავისებურებები</li> <li>• ბაზრის ფუნქციები</li> <li>• ბაზრის სისტემა და სტრუქტურა</li> <li>• ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემო</li> <li>• გარემოს ზეგავლენა ბიზნესზე</li> </ul> <p>პრაქტიკული სამუშაო: ბაზრის ოთხი ძირითადი მოდელი და მაგალითები 1- 56</p> <p>პრაქტიკული სამუშაო: პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი კაფე „იების“ მაგალითზე 3 – 31-32</p>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 45-66</p> <p>3. გულნაზ ერქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები გვ. 31-32</p>
3	<p>ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მათი რეგისტრაცია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების არსი და სახეები</li> <li>• ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურები</li> </ul> <p>პრაქტიკული სამუშაო: მინი კომპანიის ჩამოყალიბება 2 – 9-11</p> <p>პრაქტიკული სამუშაო: ინდივიდუალური მფლობელობის საწარმო 3 – 51-52</p> <p>პრაქტიკული სამუშაო: კვლევა - სკოლასთან არსებული ფირმების კვლევა სამართლებრივი ფორმის მიხედვით</p>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 121-145</p> <p>2. ჯუნიორ აჩივმენტ საქართველო - მეწარმეობის საფუძვლები, საპილოტე ვერსია გვ. 9-11</p> <p>3. გულნაზ ერქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები გვ. 51-52</p> <p>4. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ</p>
4	<p>ადამიანური რესურსების ორგანიზება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაო ძალა</li> <li>• პერსონალის კვალიფიკაცია</li> <li>• ვაკანსია, ვაკანსიის შინაარსობრივი მხარე</li> <li>• პერსონალის შერჩევა, შერჩევის შიდა და გარე წყაროები</li> <li>• რეზიუმე, რეზიუმეს შედგენა</li> </ul>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 212-236, 327-328, 330-336</p> <p>2. ჯუნიორ აჩივმენტ საქართველო - მეწარმეობის საფუძვლები, საპილოტე ვერსია გვ. 13-29, 31-33</p>



	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ურთიერთობები</li> <li>• შრომითი ხელშეკრულება</li> <li>• თანამშრომელთა სამუშაოს შეფასება და სტიმულირება</li> <li>• მოტივაცია და ხელმძღვანელის სტილი ბიზნესში</li> </ul> <p>პრაქტიკული სამუშაო: მინიკომპანიისთვის ვაკანსიების შედგენა 1 - 327-328                  პრაქტიკული სამუშაო: რეზიუმეს შედგენა, განაცხადის გაკეთება და ინტერვიუ 2 – 32,33                  პრაქტიკული სამუშაო: მინიკომპანიაში წევრთა როლების განაწილება მოვალეობების საფუძველზე და ორგანიზაციული მოდელის შექმნა 2 – 13-29,31                  პრაქტიკული სამუშაო: შრომითი ხელშეკრულების შედგენა 1 330-336</p>	<p>დანართი: 3-1, 3-2, 3-3</p>
5	<p>ბიზნესის ორგანიზება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საწარმოო რესურსები</li> <li>• წარმოების ფაქტორები</li> <li>• ბიზნესის დაფინანსების წყაროები</li> <li>• აქციები და საწესდებო კაპიტალი</li> <li>• საბჭოს სხდომა</li> <li>• პროდუქტი, ინოვაცია, მარკეტინგი</li> <li>• დაგეგმვა, შექმნა და გაშვება</li> </ul> <p>პრაქტიკული სამუშაო: საწესდებო კაპიტალი და ბანკი, როგორც პარტნიორი                  პრაქტიკული სამუშაო: მინიკომპანიის წესდების შემუშავება 2 – 46-48                  პრაქტიკული სამუშაო: შეხვედრის განაცხადის შევსება 2 - 49-50                  პრაქტიკული სამუშაო: აქციების გამოცემა, გამოცემული, აქციების ჩანაწერთა წიგნის და რეესტრის წარმოების დაწყება, სააქციო მოწმობების დამზადება 2 – 52-55</p>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 175-211                  2. ჯუნიორ აჩივმენტ საქართველო - მეწარმეობის საფუძვლები, საპილოტე ვერსია გვ. 46-48, 49-50, 52-55                  დანართი: 4-2, 4-3, 4-4, 4-5, 4-6, 4-7</p>
6	<p>სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაგეგმვის მიზანი და ამოცანები</li> <li>• ბიზნესის დაგეგმვის ეტაპები</li> <li>• ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა და მისი შედგენის ორგანიზაცია</li> </ul> <p>პრაქტიკული სამუშაო: პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი 3 -61-63                  პრაქტიკული სამუშაო: ბიზნეს-გეგმის შედგენა 2 – 61-64</p>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 115-120                  2. ჯუნიორ აჩივმენტ საქართველო - მეწარმეობის საფუძვლები, საპილოტე ვერსია გვ. 61-64                  3. გულნაზ ერქომიძევილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები გვ. 61-63                  დანართი: 5-1, 5-2</p>



7	<p>სამეწარმეო საქმიანობის მენეჯმენტი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მენეჯმენტის ფუნქციები</li> <li>• მენეჯმენტის დონეები</li> </ul> <p>პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი 3 – 112-113 პრაქტიკული სამუშაო: აქტივობის ჟურნალის წარმოება 2 – 93, აღჭურვილობისა და ხელსაწყოების სიის შედგენა, ოპერაციათა დაგეგმვის ჩანაწერების შედგენა, რეალიზაციის დოკუმენტური აღრიცხვა 2 – 83-92</p>	<p>2. ჯუნიორ აჩივმენტ საქართველო - მეწარმეობის საფუძვლები, საპილოტე ვერსია გვ. 83-92 3.გულნაზ ერქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები გვ. 98-113 დანართი: 6-1, 6-2, 6-3, 6-4</p>
8	<p>ბიზნესის მარკეტინგული უზრუნველყოფა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მარკეტინგის არსი და მიზნები</li> <li>• ბაზრის კომპლექსური შესწავლა</li> <li>• მარკეტინგის 4P</li> <li>• ინფორმაციის როლი მარკეტინგში</li> <li>• მარკეტინგული საშუალებები</li> <li>• საქონლის სასიცოცხლო ციკლი და ფასწარმოქმნა</li> <li>• რეკლამის არსი, ფუნქციები</li> <li>• პროდუქციის დიზაინი</li> <li>• ბრენდი, ბრენდის შექმნა</li> <li>• ბრენდები საქართველოში და მსოფლიოში</li> </ul> <p>პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი: ქსეროქსი 3 – 77-78 პრაქტიკული სამუშაო: მარკეტინგის დეპარტამენტის ბიზნეს-გეგმა, მარკეტინგული აქტივობების აღრიცხვა 2 - 65-67 პრაქტიკული სამუშაო: საპრეზენტაციო ნამუშევრები თემაზე „მარკეტინგული ხრიკები“</p> <p>ინტეგრირებული გაკვეთილი - უცხო ენასთან (ინგლისური). ბიზნესის საბაზისო ტერმინოლოგია პრაქტიკული სამუშაო: მოდელირება .</p>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 237-280, 281-307 2. ჯუნიორ აჩივმენტ საქართველო - მეწარმეობის საფუძვლები, საპილოტე ვერსია გვ. 65-67 3.გულნაზ ერქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები გვ. 69-78 დანართი: 5-3, 5-4</p>
9	<p>ინოვაციები და პროდუქტის კონკურენტუნარიანობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინოვაციური საქმიანობა</li> <li>• კონკურენცია</li> </ul> <p>პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი 3 – 95-97</p>	<p>3.გულნაზ ერქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები გვ. 63-69, 95-97</p>
10	<p>სამეწარმეო რისკი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რისკის არსი და სახეები</li> <li>• დაზღვევადი და დაუზღვევადი რისკები</li> <li>• რისკების მართვა</li> </ul>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 67 - 74</p>
11	<p>საბუღალტრო აღრიცხვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საბუღალტრო აღრიცხვის მიზნები</li> <li>• საბუღალტრო აღრიცხვის ფუნდამენტური პრინციპები</li> </ul>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 308-322</p>





	<ul style="list-style-type: none"> <li>• საფინანსო ანგარიშთა სისტემა</li> <li>• შემოსავლები, ხარჯები და მათი აღრიცხვა</li> </ul> <p>პრაქტიკული სამუშაო: სხვადასხვა დოკუმენტების წარმოება: ნულოვანი მოგების წერტილის პროგნოზი, სალაროს შემოსავლის და გასავლის ქვითრები, ქვითრების და გადახდების რეესტრი, ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი 2 – 70; 94-100</p> <p><i>ინტეგრირებული გაკვეთილი - მათემატიკასთან</i></p>	<p>2. ჯუნიორ აჩივმენტ საქართველო - მეწარმეობის საფუძვლები, საპილოტე ვერსია გვ. 70, 94-100 დანართი: 5-5; 6-5; 6-6</p> <p>3. თეიმურაზ შენგელია - ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი, 2012 - 457-486</p> <p>4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი</p>
12	<p>ფული და საგადასახადო სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფული, ფულის ფუნქციები, მასა და აგრეგატები</li> <li>• საქართველოს ფულადი სისტემა</li> <li>• საბანკო სისტემის არსი</li> <li>• საფინანსო ინსტიტუტები</li> <li>• ფასიანი ქაღალდების არსი და კლასიფიკაცია</li> <li>• საგადასახადო სისტემის არსი, პრინციპები და ფუნქციები</li> <li>• გადასახადების კლასიფიკაცია და სახეები</li> <li>• დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები</li> </ul>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 146-174</p> <p>2. თეიმურაზ შენგელია - ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი, 2012 გვ. 487-565; 584-602</p> <p>3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი</p>
13	<p>სამეწარმეო სამართალი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კანონი, კანონის არსი</li> <li>• როგორ უნდა მოვაქციოთ ბიზნესი სამართლის ჩარჩოებში</li> </ul> <p>ლექცია მოწვეულ სპეციალისტთან (იურისტთან) ერთად</p>	<p>საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ</p>
14	<p>კომპანიის ლიკვიდაცია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ლიკვიდაციის არსი და მიზნები</li> <li>• საბოლოო ანგარიშების შედგენა</li> </ul> <p>პრაქტიკული სამუშაო: მინიკომპანიის ლიკვიდაცია, მინიკომპანიის საბოლოო მოხსენება და ანგარიში</p> <p>პრაქტიკული სამუშაო: დივიდენდების განაწილება</p> <p>პრაქტიკული სამუშაო: დისკუსია - ბიზნესის მარცხის მიზეზები</p>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 318-322</p>
15	<p>სახელმწიფოს როლი ბიზნესის რეგულირებაში</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სახელმწიფოს როლი ქვეყანაში ბიზნესის რეგულირებაში</li> <li>• სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების დარგში</li> </ul> <p>პრაქტიკული სამუშაო: დისკუსია</p>	<p>1. შორენა ხუბუნაია - მეწარმეობა, თბილისი, 2015 გვ. 67 - 74</p> <p>2. თეიმურაზ შენგელია - ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი, 2012 გვ. 48-53; 210-213</p>